ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

30.09.2015 №180

თბილისი

სტუ-ს მემბრანული ტექნოლოგიის საინჟინრო ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლებისა და განყოფილების ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობებზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის, ინსტიტუტის დირექტორის 2015 წლის 21 სექტემბრის №76-01-2109 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიის საინჟინრო ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებისა და განყოფილების ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსი.
2. კონსურსი ჩატარდეს 2015 წლის 29 ოქტომბერს.
3. განაცხადების მიღება დაიწყოს 2015 წლის 05 ოქტომბერს და დასრულდეს 28 ოქტომბერს, საბუთები მიიღება ინსტიტუტის შენობაში, მისამართზე: თბილისი, ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის მე-2 შესახ. №19 10 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
4. დანართი №1-ს შესაბამისად დამტკიცდეს მეცნიერ თანამშრომლების და განყოფილების ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობების და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.
5. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ღია კონკურსის ჩატარების მიზნით შეიქმნას კომისია შემდგი შემადგენლობით:
   - გიორგი ბიბილეიშვილი – კომისიის თავმჯდომარე (ინსტიტუტის დირექტორი);
   - ნინო მუმლაძე – კომისიის წევრი (პროფესორი);
   - ლეილა თანანაშვილი – კომისიის წევრი (სწავლული მდივანი).
6. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

ვაკანტური თანამდებოები და საკონკურსო პირობები

1. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – 1 საშტატო ერთეული;
2. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული;
3. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული;
4. მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
5. მეცნიერი თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული;
6. მეცნიერი თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული;

კონკურსში მონაწილემ საკონკურსო განცხადებას თან დაურთოს:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სამდივნოს სახელზე;
- განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ავტობიოგრაფიული მონაცემები (CV);
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (მაგისტრის, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და სამუშაო გამოცდილების (მემბრანული ტექნოლოგიისა და ტექნიკის განხრით) დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები.;